შპს "ონლაინ ფეის" მიერ ვებგვერდზე „www.jarima.ge" მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები

შესავალი.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების **„მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები"** საფუძველზე, შპს "ონლაინ ფეი" არეგულირებს მომხმარებელთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესს და უზრუნველყოფს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვას ნებისმიერი სახის არასანქცირებული წვდომისგან.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ორგანზიაცია ზრუნავს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებაზე და პირად მონაცემებს გამოიყენებს მათ მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის სწორად გამოყენებას.

A. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში მონაწილე მხარეები.

შპს **"ონლაინ ფეის"** პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სუბიექტს წარმოადგენს ყველა პერსონალური თუ იურიდიული პირი, რომელიც გადაწყვეტს, რომ მიიღოს საიტზე www.jarima.ge არსებული სერვისები / მოითხოვოთ სხვა და სხვა მომსახურების გაწევა.

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას უზრუნველყოფს:

შპს "ონლაინ ფეი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: **406185747;**
ვებგვერდი: https://www.jarima.ge/
ელ-ფოსტა: support@jarima.ge

B. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზანი

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს იმ შემთხვევაში , როცა თქვენს მიერ ხორციელდება ჩვენს ვებ-გვერდზე www.jarima.ge მომსახურების მიღება.

სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს ამავე სუბიექტისთვის სერვისის მიწოდების ან და სერვისის მიწოდების დროს შექმნილი პრობლემების აღმოფხვრის შემთხვევაში, ასევე სუბიექტის საჩივრების / განცხადების დასამუშავებლად.

C. პერსონალური მონაცემები, რომელთა დამუშავებაც ხდება

თქვენს მიერ ვებ-გვერდის საშუალებით სერვისის ონლაინ სარგებლობისას ან/და

მომსახურების გაწევის მოთხოვნის მიზნით, შპს **"ონლაინ ფეი"** ახორციელებს შემდეგი პერსონალური მონაცემების დამუშავებას: პირადი ნომერი, ელ. ფოსტა, მობილურის ნომერი, სერვისის მიწოდებისას სერვისში გამოყენებული პარამეტრებში შემავალი სახელი და გვარი, ავტომობილის ნომერი. თქვენს პირად მონაცემზე არსებული ესა თუ ის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესაბამისი ჯარიმის აღწერა. ავტომატური ან მომხმარებლის მიერ ინიცირებული საბანკო / ონლაინ გადახდებისთვის საჭირო კანონდმებლობის შესაბამისი მინიმალური მონაცემი.

შპს **"ონლაინ ფეის"** მიერ ვებგვერდის საშუალებით არ ხორციელდება განსაკუთრებული კატეგორიის, ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემების / ციფრული მასალის დამუშავება. ჩვენ არ ვამუშავებთ სუბიექტის პერსონალურ მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია საბანკო ოპერაციების წარმოებასთან, კონკრეტულად კი ინერნეტ განვადება, საბანკო გადარიცხვა.

D. პერსონალურ მონაცემთა მესამე პირებზე გადაცემა

შპს **"ონლაინ ფეის"** ვებ-გვერდის საშუალებით ონლაინ სერვისების მომსახურების გაწევის მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენი პერსონალური მონაცემები შესაძლებელია გადაცემულ იქნეს შპს **"ონლაინ ფეის" სერვისის მომწოდებელი** კონტრაქტორებისათვის, ისიც მხოლოდ და მხოლოდ თქვენს მიერ დაფიქსირებული სადაო / პრობლემური ქეისების დამუშავების და კვლევისთვის იმ მინიმალური პირობის შესასრულებლად, რამდენადაც ეს აუცილებელია თქვენთვის ონლაინ სერვისის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

E. პერსონალურ მონაცემთა შენახვის ხანგრძლივობა / ვადა.

შპს "ონლაინ ფეის" ვებგვერდზე არსებული სერვისებით სარგებლობისთვის პირის პერსონალური მონაცემების შენახვა განხორციელდება მხოლოდ ამავე პირის ვებგვერდზე ანგარიშის გახსნის შემთხვევაში და მათი შენახვა ხდება იმ პერიოდით, სადამდეც არსებობს რეგისტრირებული ანგარიში.

3 პუნქტში არსბეული პირის პერსონალური მონაცემებები წაიშლება, როგორც კი გაუქმდება ამავე პირის ანგარიში. გარდა ამ გარემოებისა, მონაცემები წაიშლება, თუ თქვენ უარს იტყვით თქვენს მიერ გაცემულ თანხმობაზე პერსონალურ მონაცმეთა დამუშავებაზე ან თქვენ მოითხოვთ პერსონალური მონაცემების წაშლას.

F. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებები

თქვენ, როგორც პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს, უფლება გაქვთ მოითხოვოთ:

ინფორმაცია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შპს **"ონლაინ ფეი"** მხოლოდ უფლებამოსილი პირების შესახებ;

გავეცანი შპს **"ონლაინ ფეი"** კონფიდენციალურობის პოლიტიკას და ვაცხადებ თანხმობას, რომ შპს **"ონლაინ ფეი"** ვებ-გვერდის www.jarima.ge მეშვეობით დაამუშავოს ჩემი პერსონალური მონაცემები აღნიშნული პოლიტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

ONLINE PAY LTD * 406185747 * ონლაინ ფეი